[illegible]

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

№ 348 1918 წ. ხუთშაბათი, ოქტომბრის 3. № 348

მოკავშირენი ბულგარეთისაგან დემობილიზაციას და დაჭერილ ადგილების დაბრუნებას მოითხოვენ. ბულგარელის დესპანები უკვე ჩასულან სალონიკში. გერმანიაში ჰერტლინგი სამსახურიდან გადადგა. ზანგეზურში მოუკლავთ ცნობილი ანდრონიკი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 3-ს გადახდილ იქმნება კალოუბნის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი მეორმოცე დღეს თელავის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფის

ალექსანდრე იოსების ძის ქვლივიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ანა იოილის ასული ქვლივიძისა შვილებით და დეკანოზი იოილ გაბრიელის ძე გამრეკელი მეუღლით და შვილებით. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 2089

ღრმად დამწუხრებულნი დედა ანა, მეუღლე ნადეჟდა, შვილები მარიამ, თამარ, შოთა და თინა და დაი მარიამ მასხარაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ბაქოში ტრაგიკულად დაიღუპა მათი უსაყვარლესი

ვიქტორ (ბიჭიკო) მერაბის ძე კვიტაშვილი.

მოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2094

ღრმად დამწუხრებულნი ასლან და სვიმონ მერაბის ძენი კვიტაშვილნი ოჯახებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ბაქოში ტრაგიკულად დაიღუპა მათი უსაყვარლესი ძმა

ვიქტორ (ბიჭიკო) მერაბის ძე კვიტაშვილი.

მოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2084

მეუღლე ატატო კოტატის ასული, შვილები: დავით, ალექსანდრე და პორფილე ტაიას ძენი ჩაჩიბაიები, პარასკევა ტაიას ასული დგებუაძისა, ეფროსინე ტაიას ასული კობახიძისა და სიძეები ვლადიმერ დგებუაძე და ლევან კობახიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის მეუღლის, მეორეთა მამის, ხოლო უკანასკნელთა სიმამრის,

ტაია დავითის ძე ჩაჩიბაიას

ტრაგიკულად გარდაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია ოქტომბრის 6-ს სოფ. გურძეში სენაკის მაზრა ადგილობრივი ეკლესიის გალავანში. 2096

უბედური სიკვდილისაგან დამწუხრებული მეუღლე ალექსანდრე გიორგის ძე მაისურაძე და მამა გრიგოლ არტევანის ძე კიკნაძე; ბიძები ნიკო, ილიკო, კოტე და სოსო კიკნაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა პირველისა მეუღლე, მეორისა ასული და მესამეთა ძმის წული

ვერა მაისურაძისა

პანაშვიდი და გამოსვენება არის პარასკევს ოქტომბრის 4-ს თავის ბინიდან ფოთის ქუჩა, სახლის ნომერი 37, დილის თერთმეტ საათზე. გასვენება დიდუბის ეკლესიაზე. 2094

ქ. ლანჩხუთის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგთა და ნაცნობთ მის საუკეთესო მეგობარის და ამხანაგის მასწავლებელ

ნუცა იასონ ჩხიკვაძის ასულის თარგამაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 2093

მე-II წელიწადი ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე-II წელიწადი

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ძ ხ ე ნ ი ა ს ქ. № 11

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. **გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.** ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყება 2 ენკენისთვიდან.

გიმნაზიის გამგე **ხ. ნ. შულგინი.**

1917—1918 სამოსწ. წელს უკვე დაამთავრეს მოწაფეებმა პირველად კურსი („პირველი ვიპუსკი“). 2080

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ხუთშაბათს, ოქტომბრის 3-ს, გაიმართება

დიდი საგასტროლო გალა-წარმოდგენა

პირველი გასტროლი მოსკოველების საყვარელ არტისტების, პეტროგრადში სახელგანთქმულ კომიკოს-ექსცენტრიკების **ძმ. ვიქტორ და დიმისა.** ესწრაფეთ ნახეთ ხოლოდ ტფილისში. დღეს ტფილისელების საყვარელნი ბ-ნნი **ზინკოვსკები** შეასრულებენ ახალ სადღეისო კუპლეტებს გამოსვლა მხედრუნახავის **ესმერალდასი.** დღეს მონაწილეობენ ახალი გასტროლები.

მუსიკა უკრავს 8 ს. დასაწყისი 8 ნახ. ს.

2088 მთავარი ადმინისტრატორი პ. **ელიზაროვი**

ფინანსთა სამინისტროს აცხადებს

სამინისტროს ცნობებით: ბონების დამზადებელ ექსპედიციიდან გატაცებულ ფულიდან ათ მანეთიან ღირებულებისა ბონები უკვე გაჩნდნენ ხმარებაში. ვაფრთხილებთ მოქალაქეებს, რომ **ახალი 6 მუშის ბონები ათ მანეთიან ღირებულებისა მთავრობას სახმარებლად არ გამოუშვია და მათი მიღებაც აკრძალულია. განსხვავებითი ნიშნები შემდეგია:**

ახლებს:	**ძველებს:**
1. ყველა წარწერები და აგრეთვე მხატვრობა შავი ფერისაა.	1. ყველა წარწერები და მხატვრობა წითელი ფერისაა.
2. ბონის ქაღალდი წითელი ფერისაა.	2. ბონების ქაღალდი ნაცრისფერისაა
3. ახალი ნიმუშების ლიტ. 3 დ. და №№ 0850—0884-დე.	

კანცელარიის დირექტორი ხ. ჰანტურიშვილი.

1918—19 **წლის საოპერო სეზონი** **სახელმწიფო თეატრი** **დირექცია ნ. ლ. ლომიძის**

ხუთშაბათს, ოქტომბრის 3-ს, **„კარმენი“** ოპერა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: სპიტკო, ვიშემირსკი, ოვსიანიკოვი, გედევანიშვილი, ბერეზინი, ორდა, ისეცკი, ინაევი, კურბატოვი, ეგოროვი.

დირიჟორი **ჩერეპნინი.** დასაწყისი 8 საათზე.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე.

ანონსი: ოქტომბრის 4-ს „დუბროვსკი“, 5-ს „ტანჰეიზერი“, 6-ს „ტოსკა“, 7-ს „აიდა“. 1837

განცხადება

ხაშურის ქალაქის გამგეობა

იჯარით სცემს ქალაქის აფთიაქს.

მსურველთ შეუძლიან მიმართონ ქალაქის გამგეობას-

ხაშურის ქალაქის **გამგეობა.** 2081

შაქრის ბარათები

ოქტომბრის 7-დან საუბნო საბარათო ბიუროებში დაიწყება შაქრის ბარათების გამოცვლა—ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ სახლისა და სარაიონო ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ ა) სახლის წიგნი, ბ) სახლის სარეგისტრაციო უწყება, გ) პიროვნების მოწმობა და დ) ჩამოწერილი ბარათი, ანბანით დაწყობილი.

სარეგისტრაციო უწყება დამოწმებულ უნდა იქმნას საუბნო სასურსათო კომიტეტში. საანბანო ბარათის მიღება შეიძლება საუბნო საბარათო ბიუროში.

სასურსათო ბარათის ფასი 10 შაური თითო რაციონზე, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთისა თითო ბარათზე.

1918 წ. ოქტომბრის 1. გამგეობის წევრი. 1349

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირში

საჭიროა

ინსტრუქტორები

მცოდნე **კოოპერაციისა** როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად.

პირობები შემდეგია: უმცროს ინსტრუქტორს ეძლევა ჯამაგირი 1350 მან. თვეში, უმფროს—1500 მან. დღიური და გზის ფასი ცალკე.

თხოვნებს იღებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.

მიხაილოვის პროსპ. სახლი № 178. 1350

* *
*

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რაც გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი, სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ, მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მომგებიანი!

ტფილისი, ოქტომბერი 3.

კიდევ ზავის შესახებ

საერთაშორისო მდგომარეობა გართულდა. ომის ბედის ჩარხი ოდნავ მიტრიალდა იმათკენ, რომელნიც აქამდე დაჩაგრულნი იყვნენ და მრავალი დამარცხება იწვნიეს, ჩვენ ვიცით, რომ გერმანიამ დაიჭირა საუკეთესო ნაწილები საფრანგეთისა, რომელიც აძლევდა საშუალებას სხვა და სხვა კრიზისი ადვილად გადაეტანა და ნაკლულევანება რასამე პროდუქტისა თუ ნივთიერებისა შეევსო იმ სიმდიდრით, რომელსაც გერმანია დაპყრობილ ადგილებში ჰპოებდა. დღევანდლამდე გერმანია იბრძოდა როგორც რკინის გალიაში მომწყვდეული ლომი. იგი გაafთრებით ამსხვრევდა რკინის სალტეებს, რომლითაც უპირებდა მას შეპოვებას ინგლისის კოალიცია. მან გადალახა ბელგია, შეიჭრა საფრანგეთში, დაიპყრო აღმოსავლეთში ძველი რუსეთის საუკეთესო ნაწილები, მოსპო სერბია და სხვ, მისი ჯარისკაცები გაჩნდნენ შორეულ ქვეყნებში, გაჩნდნენ საქართველოში. ისინი იბრძოდნენ ჩვენთან ერთად ბორჩალოში და ოსმალეთის ურდოებისაგან იხსნეს საქართველო. ქართველს ერს ჯერხნობით კარგად არც კი აქვს შეგნებული, რაოდენი სიკეთე დაგვდო გერმანიამ საშინელ და კრიტიკულ მომენტში თავისი ძლევამოსილი ხელით. ამიტომ, გარდა იმისა, რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი პოლიტიკა გვავალებს ყურადღებით მოვეპყრათ ბედსა თუ უბედობას—ერთნაირი ზნეობრივი ვალდებულებაც გვაქვს ჭირსა და ლხინში მასთან ვიყოთ.

დღეს დასავლეთის ფრონტზე ფრიად დიდმნიშვნელოვანი ბრძოლებია. რასაკვირველია გერმანიის დამარცხებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამისთანა უკან დახევას რომ რაიმე დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, აქამდე მოკავშირეები უნდა განადგურებულიყვნენ, რადგან ისინი ომის დასაწყისიდან ოთხი წლის განმავლობაში სულ უკან-უკან იხევდნენ. თავის თავად დიდი ხნის დანაპირები იერიშები მოკავშირეებისა, რომელზედაც მრავალი გვსმენია—უკვე დაიწყო. დღევანდელი ბრძოლის ინიციატივა მოკავშირეებისა. გერმანიამ კი, რომელსაც აქამდე ეს ინიციატივა განუწყვეტლივ ხელთ ეპყრა, დღეს იგი დაჰკარგა, მაგრამ, ვიმეორებთ, დამარცხებაზე ლაპარაკი ფრიად ნაადრევია. ხოლო ინგლისის კოალიციის მოგომარეობა რომ გამოსწორდა, ესეც უდავოა. განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ გარემოებაში ბულგარეთის გამოსვლას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანია ავსტრიის ჯარები საქმეს გამოასწორებენ, მაგრამ ძალიან საეჭვოა ბულგარეთი კიდევ მებრძოლად გამოდგეს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ბულგარეთის გამოსვლამ საზავო წინადადებით საგრძნობლად შესცვალოს საერთაშორისო მდგომარეობა და სულიერი განწყობილება ერებისა. ამიტომ ვამბობდით და ვამბობთ, რომ ზავის ხანაში შევსდგით ფეხი. ჩვენ ვიცით, რომ ბულგარეთზე უფრო ადრე საზავო წინადადებით მიჰმართა მოკავშირეებს ავსტრო-ჰუნგრეთმა. ისიც კარგად გვახსოვს, რომ გერმანია და მისი კოალიცია 1916 წლიდან დაწყებული დღევანდლამდე ზავის ჩამოგდების ცდაში იყო, მაგრამ მოწინააღმდეგენი არა თანხმდებოდნენ. დღეს კი გარემოება სხვანაირია.

ჩვენს გაზეთში უკვე აღნიშნული იყო, რომ ევროპაში გაძლიერებული საზავო მოძრაობაა. ინგლისში ზავის პოლიტიკა საარჩევნო ლოზუნგად გადაქცეულა. ეხლა უკვე გვაქვს ცნობები, რომ ავსტრიის მინისტრის ბურიანის საზავო წინადადებას ინგლისის რადიკალური პრესა თანაგრძნობით მიჰგებებია. მთავრობანი, განსაკუთრებით ინგლისისა, უარჰყოფს დღევანდელს ზავს და იმეორებს ვილსონის სიტყვებს. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ერთი პასუხი: ძალის ხმარება უკიდურესობამდე, ძალის ხმარება დაუსრულობამდეო. მაგრამ ეს სიტყვის მასალაა, რადგან ყველა ერი ძლიერ მოიღალა ბრძოლით, ამიტომ მოსალოდნელია ამ ორ-სამ თვეში საზავო მოლაპარაკების გამართვა. ეს მით უმეტეს, რომ ვიმეორებთ, საბოლოოდ ვისიმე დამარცხება შეუძლებელია. ზამთარში ასეთი ფართო მასშტაბით შეუძლებელია ბრძოლის წარმოება. უეჭველია იგი პოზიციონურ ბრძოლად გადაიქცევა და გაზაფხულზე კი ასეთი მდგომარეობა ვერ გაგრძელდება. მოღლილი კაცობრიობა უეჭველია სიხარულით შეეგებება ზეთის ხილის რტოს, რომელიც მშვიდობიანობას მოასწავებს.

პარტიათა შეთანხმებისათვის

1.

ყოველი რევოლიუცია ძველის ნგრევა და ახლის შენებაა, მაგრამ ეს ახალი წლობით უნდა აშენდეს და შესაძლებელია რევოლიუციაში მომქმედ [illegible]ლები: პიროვნებანი, ჯგუფები

კლასები ვერც კი მოესწრონ სავსებით დასტკბნენ ამ ახალი ცხოვრების ნაყოფით. ის რევოლიუციონერი ჯგუფი. პარტია, რომელიც მხოლოდ იმისთვის იბრძვის, რომ თითონ იგემოს რევოლიუციით მონაპოვარი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობისათვის არ უძგერს გული, ის რევოლიუციის მძარცველია, ის ვიწრო ეგოისტია.

მხოლოდ ის არის ნამდვილი რევოლიუციონერი, რომელიც დარწმუნებულია, რომ თუ თითონ არა, მომავალი თაობა მაინც ისარგებლებს ახალი ცხოვრების ნაყოფით; მხოლოდ ის არის სხივოსანი შემომქმედი ისტორიისა, ვისაც შორეულიც უყვარს, შორეულს ეტრფის და ამ შორეულისთვის სწირავს თავის კეთილდღეობას, მყუდროებას და სიცოცხლესაც.

იმ თავისუფლებით, რომელიც დიდმა რევოლიუციამ მოგვიტანა, იმ პოლიტიკური მდგომარეობით, რომელსაც საქართველოს თავისუფლება და საქართველოს რესპუბლიკა ეწოდება სავსებით მხოლოდ მომავალი თაობა ისარგებლებს, მხოლოდ ჩვენი შვილები და შვილისშვილები გამოიყენებენ სავსებით, რადგანაც არ ყოფილა დედამიწის ზურგზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც ასეთი ძირითადი გადაქცნის შემდეგ ოცი და ოცდა ათ წელზე ადრე შემდგარიყოს და გამაგრებულიყოს ამ ახალს საფუძველზე და ამ ხნის განმავლობაში კი ჩვენი თაობა უკვე გადავა, ახალს თაობას დაუცლის ასპარეზს ჩვენ მხოლოდ მასალა ვართ ამ დიადი მომავალისა, ჩვენი თაობა ის ხურავია, რომელიც ცოცხლად ჩაიკირება ამ დიადი ახალი ტაძრის კედლებში. ვინც ასეთ თავგანწირვამდი ვერ ამაღლებულა, ვინც ცდილობს დღესვე თითონ ისარგებლოს ამ ახალი ცხოვრებით, იგი ავაზაკია ისტორიულს შარა გზაზე, იგი მძარცველია რევოლიუციისა.

მე ვიცი ძლიერ ლოზუნგი ისტორიულ პროცესში რომ შეაქვს შემომქმედს პიროვნებას, თაობას, კლასს და ეს არის იმის შეგნება, რომ „თუ მოვალე ვარ გავაკეთო, კიდეც შემიძლია გავაკეთო", მაგრამ სამწუხაროდ დღეს ბევრი უკუღმა ატრიალებს ამ რაინულს თქმას და ამბობს: „მე შემიძლია და კიდეც გავაკეთებო". მაგალითებისათვის ისევ ჩვენს სამშობლოში მიმოვიხედოთ და აქ დავინახავთ ჩვენს გვერდით ასეთს რევოლიუციის მძარცველებს და იმ გრძნობით დამთვრალთ, რომ მათ ყველაფერი „შეუძლიათ".

ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენი მოწინავე დემოკრატია გაცილებით უფრო გონიერი გამოდგა თუნდაც რუსეთისაზე და იგი შეგნებულად ცდილობს თავისი რევოლიუციონური „მსურს" რეალურს „შემიძლიას" შეუფარდოს. ასეთია დიდი უმრავლესობა ჩვენი დემოკრატიისა მაგრამ მათ შორის არიან ისეთნიც, რომელნიც დაბრმავებულან სადღეისო ინტერესებით, პირადი თავმოყვარეობით და პატივმოყვარეობით და უხეშად გაიძახიან: „მიფრთხილდით, მე ესა და ეს შემიძლიაო".

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდმა რევოლიუციამ მოგვცა ჩვენ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს აღმშენებლობითმა ინტერესებმა მოგვცა ჩვენ **გაერთიანებული სოციალისტური ფრონტი.** ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები დღიდან ჩვენი გამოსვლისა ისტორიულ ასპარეზზე ვსცნობდით ისტორიულს სინამდვილეს, რომელსაც კლასთა ბრძოლა ეწოდება. ჩვენ აღვიარებდით, რომ თანამედროვე საზოგადოება დაყოფილა სხვა და სხვა მოქიშპე, ანტაგონისტურ კლასებად და თანამედროვე ისტორიას ამათი ბრძოლა, დაუნდობელი ბრძოლა აძლევდა შინაარს. მაგრამ ჩვენ ამასთანავე იმასაც ვხედავდით. რომ საზოგადოებას, და ერიც ხომ ერთგვარი საზოგადოებრივი ორგანიზმია, დაუდგება ისეთი მომენტიც, როდესაც ეს დაუნდობელი კლასთა ბრძოლა ნელდება, ეს მოქიშპე ძალები ერთმანეთს უახლოვდებიან და რამოდენიმე მანძილზე ერთად მიდიან. ასეთი მომენტია ფიზიკური არსებობა ამ საზოგადოებისა, ერისა, საქართველოს დაუდგა ის ჟამი, როდესაც აუცილებელი იყო კოორდინაცია, შეთანხმება ყველა ეროვნული ძალებისა და შეერთებული ძალებით ფიზიკური არსებობის შენარჩუნება.

ახალი ხანი, ახალი დიადი ისტორიული დატა ჩვენი ერის ცხოვრებაში 1918 წლის მაისის 26-ია, როდესაც ისტორიული აუცილებლობის ზეგავლენით ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა მივიღეთ და ამ დღიდან განსაკუთრებით ცხადი გახდა, რომ დროებით უნდა შინაურს ფრონტზე ზავი შეიკრას და შეერთებულის ძალებით გავამაგროთ ჩვენი რესპუბლიკა. მომაკვდინებელ საშიშროების წინაშე შეიკუმშა ჩვენი ეროვნული ორგანიზმი და შემოიკრიბა ყველა ეროვნული ძალები. ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებს ასეთი შესაძლებლობა და აუცილებლობა წინადაც გვქონდა გათვალისწინებული და ეს შეიგნეს აგრედვე სოციალ-დემოკრატებმა და ეროვნულ დემოკრატებმაც და კიდეც შესდგა პირველი სოციალისტური მთავრობა.

ჯერ კიდევ რევოლიუციამდე, მაშინ როდესაც თავგანწირული ბრძოლა გვქონდა ჩვენ სოციალ-დემოკრატებთან, ნ. ჟორდანია სწერდა და დემოკრატიას არწმუნებდა: „დემოკრატიას რამოდენიმე ნაბიჯი შეუძლია ეროვნულ-დემოკრატებთან გადასდგას, მაგრამ სოციალ-ფედერალისტებთან კი არასოდესო", მაგრამ მანვე მალე დაინახა, რომ იგი სცდებოდა და სასტიკადაც დამარცხდა, იგი დაამარცხა თვით სინამდვილემ.

პირველი დეკლარაცია ჩვენი რესპუბლიკის პირველი მთავრობისა, რომლის შედგენის დროს მხედველობაში იყო მიღებული ჩვენი, სოციალისტ-ფედერალისტების ფრაქციის შესწორებანი და შენიშვნები ვეღარ მოინელა ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, სოციალისტური მთავრობის დეკლარაციას, პროგრამას დაუპირდაპირა თავისი პროგრამა და სამინისტროდანაც გამოვიდა. ასე რომ თანხმობა და სახელმწიფოებრივს ნიადაგზე თანამშრომლობა სწორედ იმან დაარღვია, რომელთან ერთად „რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმას შესაძლებლად სცნობდა ნ. ჟორდანია და მთავრობაში დარჩნენ მხოლოდ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლნი: ოთხი სოციალ-დემოკრატი, ორი სოციალ-ფედერალისტი და ერთი სოციალისტ-რევოლიუციონერი (ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული პერსონალურად დარჩა).

ორი გზა არსებობდა საქართველოში მომქმედ პარტიებისათვის,—ერთი გზა იყო ფრიად თვალწარმტაცი პარტიული თვალსაზრისით და იყო მთავრობისადმი ოპოზიციაში ჩადგომა, მთავრობის დაურიდებელი კრიტიკა, მხილება და ვინაიდან აშკარა ფაქტია. რომ ჩვენს მთავრობას დღესაც აურაცხელი შეცდომა და თუნდ შეცოდებაცა აქვს, აურაცხელი უწესრიგობა და უკოორდინარობის ნიმუშები შეიძლება აღმოვაჩინოთ და ვრცელი მასისათვის, ხალხისათვის, უკმაყოფილო ელემენტებისათვის თვალწარმტაცი იქნებოდა ეს უპასუხისმგებლო ოპოზიცია. პარტია, რომელიც ამ გზას მოხერხებულად და შეგნებით ოაადგებოდა ცხადია ხალხში ბევრა მომხრეს იპოვნიდა, უკმაყოფილო ელემენტებს შემოიკრებდა და თუ უნარსაც გამოიჩენდა. ძლიერ ადვილადაც დასცემდა სუსტს მთავრობას.

მეორე გზა იყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზა; აქ უნდა გვერდში ამოდგომოდით მთავრობას და გაგეზიარებინათ პასუხის მგებლობა, ჩასდგომოდით დადებით მუშაობას და მთელი ენერგიით ცდილიყავით აწეწილ ცხოვრების დალაგებას. ასეთი მუშაობა აუცილებლია ჩვენი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, მაგრამ ეს მუშაობა არ არის თვალის მომჭრელი, იგი უჩინარია, ჩუმი; მას ვრცელი მასა ვერ დაინახავდა, ვერც დაგიფასებდა და თან იმ უკმაყოფილების მოზიარეც გახდებოდი რომელიც უეჭველია მთავრობისადმი ხალხში არსებობს.

დღეს საქართველოში ისეთი სულიერი და რეალურ ძალთა განწყობილებაა. რომ ჩვენი ღრმა რწმენით თითო თითოდ არც ერთს ჩვენში მომქმედ პარტიას არ ძალუძს ქვეყნის მართვა-გამგეობა. დღეს საკმარისია ჩვენს მთავრობას ჩამოეცალოს სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით სოციალ-ფედერალისტთა პარტია და შეუტიოს სოციალ-დემოკრატიას, რაც იმავე დროს მთავრობის შეტევა იქნება, ვინაიდან მთავრობა სოციალ-დემოკრატიულია, რომ მთავრობა დაეცეს და მაშინ დგება საკითხი ვის შეუძლია, ვინ იკისრებს ძალა-უფლების ხელში აღებას? თუ დღეს თვით სოციალ-დემოკრატიას არ შესწევს ძალა მარტოდ-მარტო გაუძლვეს სახელმწიფოს, ვინაიდან ხალხში მას სახელი გატეხილი აქვს, ხალხის დიდი უმრავლესობის ნდობა მის მხარეს არ არის, რა თქმა უნდა, სხვა პარტია, თუნდაც სოციალ-ფედერალისტებისაც დღესვე მარტოდ მარტო ვერ იკისრებდა სახელმწიფოს გაძღოლას, ვინაიდან სამწუხაროდ ორგანიზაციულად მაინც ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატებზე სუსტნი ვართ. რა იქნება მომავალში და საით გადიხრება ჩვენი ხალხის ნდობა და სიმპატიები, ეს მომავლის საკითხია, ხოლო დღეს კი ცხადია, საქართველოში თუ შეიძლება იყოს რაიმე მთავრობა ეს მთავრობა უნდა იყოს სოციალისტური მთავრობა და აი, გზა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა, გზა დადებითი მუშაობისა, გზა ჩვენი რესპუბლიკის გამაგრებისა, გზა არა საზეიმო და თვალის მომჭრელი, მაგრამ ერთად ერთი გზა ჩვენი არსებობის შენარჩუნებისა ავირჩიეთ ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტებმა.

ბურჟუაზიულ-ფეოდალურმა (თუ ასე ითქმის) პარტიამ ეროვნულ-დემოკრატებისამ კი პირველი გზა აირჩია, გზა უპასუხისმგებლო ოპოზიციისა, გამოდგა იგი ამაყად დოინჯ შემოყრილი პარლამენტის მაღალს ტრიბუნაზე და ფარისევლურად ხალხს გადასძახა: „მოვედით ჩემდა მაშვრალნო და ტვირთმძიმენო"-ო! ასტეხა განგაში და დიდის ამბით დაიწყო „აღმოჩენა" ისეთი ნაკლულოვანებათა ჩვენი მთავრობის მოქმედებაში, რომელნიც ყველასთვის აშკარა იყო.

აშკარა იყო აქ, რომ ეროვნულ-დემოკრატებმა თვისი ვიწრო პარტიული ინტერესების სამსხვერპლოზე სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები მიიტანეს, მაგრამ ამ ყალბმა გზამ თან გაიყოლია თვით პარტიის მთლიანობაც და დღეს უკვე ფაქტია მათი გათიშვა.

აი სანიმუშოდ ერთი ნაკვთი ჩვენს პარლამენტში პარტიების მუშაობისა, რომელიც ცხადყოფს ზემოთქმულს.

ვინ არ იცის, რა უწესობა სუფევს დღესაც კი ჩვენს რკინის გზებზე და ადვილი წარმოსადგენია რა იქნებოდა ამ ერთი თვის წინად. ერთი ფრიად საჭირბოროტო საკითხი იყო რკინის გზის მოსამსახურეთა დათხოვნა და შტატის შემცირება. ამ ნიადაგზე მოხდა ბევრი უსამართლობა და რკინის გზის მთავარ კომიტეტის მხრითაც ხდებოდა უფლებათა უზურპაცია და ბევრი უკანონობის ჩადენა.

რკინის გზის მოსამსახურენი იძულებულნი შეიქმნენ შეეჩივლათ ყოველივე ეს საპარლამენტო ფრაქციებისთვის. მაგრამ ჯერ კიდევ ამათ არ შეეღოთ ფრაქციის კარები, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა საპარლამენტო ფრაქციამ საფინანსო და საბიუჯეტო კომისიაში და შემდეგ მთავრობაში თავისი ამხანაგ მინისტრების საშუალებით მიუთითეს მთავრობას ის უწესრიგობა, რომელთაც ადგილი ჰქონდა რკინის გზაზე.

ამასობაში ჩვენი პარტიული ამხანაგებიც მოვიდნენ ჩვენს ფრაქციაში და დაწვრილებით შეგვატყობინეს საქმის ვითარება რკინის გზაზე.

ჩვენმა ფრაქციამ გამართა მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატების ფრაქციასთან და თან მთავრობაშიაც შეიტანა ოთხი წინადადება და მოითხოვეს მათი მოწესრიგება. ამ ორმა პარტიამ ერთმანეთთან შეთანხმებით გულდასმით განიხილეს საქმე, მთავრობამ გამართა მოლაპარაკება რკინის გზის მთავარ კომიტეტთან და ბოლოს კომიტეტი იძულებული შეიქმნა სიმართლისთვის ყური დაეგდო და მას თანდათან ჩამოსცილდა ის ფუნქციები, რომელნიც მას არ უნდა ჰქონოდა.

როგორ მოიქცა ოპოზიცია, რომელსაც ჰსურს პარლამენტის ტრიბუნა საგიტაციო მიზნებისათვის გამოიყენოს? ეროვნულ დემოკრატებთანაც მივიდნენ ამ პარტიის უკმაყოფილო წევრნი და მათაც შესჩივლეს. წამსვე გამოცხვა შეკითხვა, შეაგროვეს მასალები და ტრიბუნაზე წამოიჭრნენ, მაგრამ პირველ სიტყვიდანვე იგრძნეს მდგომარეობის სიყალბე, იგრძნეს, რომ შეკითხვას უკვე აზრი დაეკარგა, რადგანაც რაც უნდა გაკეთებულიყო, ეს უკვე გაკეთდა ჩვენს ფრაქციებში და მთავრობაში. რასაკვირველია, რაც გაკეთდა და რაც კეთდება, ამას ვრცელი მასსა ვერ ჰხედავს, რადგანაც ტრიბუნიდან ამის რეკლამა ჩვენ შესაძლებლად არ მიგვაჩნია და ამიტომაა ბევრი ჩვენი პარტიული ამხანაგიც კი უკმაყოფილებას გამოსთქვამს: აი, ეროვნულ-დემოკრატებმა იბრძოლეს და თქვენ კი არ იბრძვითო. ვიმეორებთ, პარტიული პატივმოყვარეობისათვის უკეთესია ეს რიხიანი შეკითხვა, მაგრამ საქმის კეთება კი შესაძლებელია არა ხალასი კრიტიკით, არამედ დადებითი შემოქმედებით.

რა აზრი და მიზანი აქვს შეკითხვას მთავრობისადმი?

ვინც ცოტაოდნად გასცნობია მაინც ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტების წესებს მან იცის, რომ კანონმდებელი ორგანო სხვა და სხვა ფორმით ახორციელებს კონტროლს აღმასრულებელი ორგანოისას, სამინისტროისას. ასეთია ბიუჯეტის განხილვა, ანკეტა, კითხვა, შეკითხვა ან ინტერპელაცია და სხ. უმთავრესი მიზანი ამ შეკითხვა-ინტერპელაციისა არის **უნდობლობის გამოცხადება მთავრობისადმი**

დააკვირდით თვით ფორმას შეკითხვისას: . იცის თუ არა მთავრობამ ესა და ეს.. და თუ იცის, რა ზომები მიუღია, ან რა ზომები სურს მიიღოს?.. ცხადია, ინტერპელიანტმა, ძალიან კარგად იცის, რომ მთავრობას ან არავითარი ზომა არ მიუღია, ან და ამ ზომას საკმარისად არა სცნობს შემკითხველი და დიდი კრიტიკის დანასკვად იგი თავის მხრით უკარნახებს ზომებს მთავრობას და აი აქ არის სწორედ უნდობლობის გამოცხადება, ამ ფორმულას რომ პარლამენტის უმრავლესობამ მხარი დაუჭიროს სამინისტრო იძულებული იქნება გადადგეს.

არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც შეკითხვას პარლამენტის უმრავლესობის ან რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელიც შეიტანს ხოლმე, მაგრამ ეს ინტერპელაცია კი არ არის, არამედ უბრალო კითხვა.

ასეთი იყო ის კითხვა, რომელიც პირველ თვეს შეიტანა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ ადერბეიჯანის რესპუბლიკის გამოცხადების გამო, როდესაც მთავრობას მიეცა საშუალება საერთაშორისო ხასიათის დეკლარაციისა და ასეთივე იყო ამ რამოდენიმე დღის წინად სოციალ-დემოკრატების კითხვა ოსმალების მიერ ინგლისელ ტყვეების ჩამოყვანის შესახებ. აქაც მთავრობას საშუალება მიეცა პარლამენტში განეცხადებინა საერთაშორისო ხასიათის დეკლარაცია ნეიტრალობის დაცვის სასარგებლოდ.

მაშასადამე, ვინაიდან ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვა, სახელმწიფოს გამაგრება, ჩვენი თავისუფლების უზრუნველყოფა მოითხოვს სოციალისტურ პარტიების შეთანხმებულს მოღვაწეობას, სოციალისტ-ფედერალისტები, რომელნიც დგანან სახელმწიფოებრივს ნიადაგზე, ეწევიან აღმაშენებლობითს მუშაობას და ამიტომაც ისინი არა სდგანან ოპოზიციაში და არც ინტერპელაციები-შეკითხვები შეაქვთ.

აქ არის მთავარი ძარღვი ჩვენი და სოციალ დემოკრატების შეთანხმებისა. ეს არ ესმით ჩვენს მტრებს და დაგვცინიან, ეს არა აქვთ სავსებით შეგნებული ჩვენს ზოგს მეგობრებსაც. მაგრამ რაც ყველაზე უარესია, ეს არ ესმით არც იმათ, ვისაც ჩვენ რევოლიუციის მძარცველებს უწოდებთ და რომელნიც სამწუხაროდ სოციალ დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ დგანან.

ს დ—ნი.

ეროვნული საბჭო

სექტემბრის 1-ის სხდომა.

სხდომა დღის პირველ საათზე იხსნება **კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.**

სომეხთა წარმომადგენლები.

საბჭოს მიერ მიღებულ კანონის თანახმად საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა შორის პირველად სომხების წარმომადგენელნი მოვიდნენ დღეს ჩვენს პარლამენტში. ისინი მარცხენა ადგილის უკანა სკამებზე სხედან.

კ. ჩხეიძე. მოქალაქენო, დღეს ჩვენს კანონმდებელ კრებულს შემოუერთდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე უმცირესობათაგან სომხების წარმომადგენელნი, მე უნდა ვისარგებლო ეს შემთხვევა და გამოვთქვა იმედი, რომ ეს წარმომადგენელნი ჩვენთან ხელი-ხელ ჩაკიდულნი, გაგვიადვილებენ იმ საერთო მუშაობას, ისტორიამ რომ დაგვაკისრა. დღეს საჭირო და გასაგები შეიქმნა ყველასათვის, რომ აქ უნდა იყოს და ჩვენთან ერთად მუშაობდეს ყველა, ვინც ჩვენი მტერი არ არის. დღეს ჩვენი მდგომარეობა უფრო გართულებული და სახიფათოა, ვიდრე წინად და გუშინ იყო. თუ წინასწარმეტყველებას არავინ დაიჩემებს, ჩვენ არ ვიცით უახლოვდებით თუ არა იმ მომენტს, როდესაც სისხლის ღვრა შესწყდება და საერთო მშვიდობიანობის დამყარება შესაძლებელი გახდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ საერთაშორისო დამოკიდებულებაში ცვლილება ჰხდება და ეს ცვლილება ფრიად სიმპტომატიურია, რომლის ხასიათიც ართულებს მდგომარეობას ჩვენ კარგად ვგრძნობთ ისტორიულ პასუხისმგებლობას და ამ მდგომარეობის სირთულეს. მიზეზები ბევრია, მაგრამ მე მინდა ხაზი გაუსვა ერთ ბოროტებას. ეს ის ბოროტებაა, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას კრულის თვალით უყურებს. ასეთ პირობებში ყოველივე ძალა, რომელიც ჩვენ გაგვიადვილებს საერთო მუშაობას და მეცადინეობას საერთო საქმისა და მიზნისთვის, ფრიად საჭიროა და სასიხარულო. და ვისურვებ, ეს ახალი ძალა დღევანდელ ამხანაგების მოსვლით რომ შეგვემატა, შეერთებოდეს ჩვენს ძალას ჩვენი დამოუკიდებლობისა და ხალხთა შორის სოლიდარობის განმტკიცებისა და დამყარებისათვის. (საერთო ტაში).

სომეხთა წარმომადგენელი დავითხანიანი. მოქალაქენო, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო! დაშნაკცაკანების, სოც.-რევოლიუციონერების და სოც.-დემოკრატების პარტიებმა, დამავალეს ორიოდე სიტყვით მივსალმებოდი ჩვენს საკანონმდებლო საბჭოს და მის თავმჯდომარეს- დამავალეს აგრედვე ისიც, რომ ეს სიტყვები ქართულად მეთქვა. ჩვენ მოვედით აქ არა იმისთვის რომ მარტო ჩვენი კულტურული და ეროვნული მისწრაფებანი განგვეხორციელებინა და დაგვეცვა, არამედ იმისთვისაც, რომ ერთად შევებათ იმ უღელში, რომელიც ხელს შეუწყობს და განამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებლობას და გაუადვილებს მას აყვავებას. (ტაში) ჩვენ შეგნებული გვაქვს დღევანდელი მდგომარეობა და გვწამს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო შესაფერად უძლევს ისტორიისაგან დაკისრებულ მოვალეობას, ჩვენც ამ შეგნებით მოვედით თქვენთან ერთად სამუშაოდ და სოლიდარობის განსამტკიცებლად. ამიტომ გულითად მადლობას მოვახსენებ ბატონ თავმჯდომარეს მის მიერ წარმოთქმულ გულწრფელ სიტყვებისათვის. კრება ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს დავითხანიანს და სომეხთა სხვა წარმომადგენლებს.

ამის შემდეგ საბჭო გადადის დღის წესრიგზე, ამტკიცებს წარსულ კრებაზე მიღებულ საქართველოს სახელმწიფო ენის კანონის საბოლოო ტექსტს და გადადის მორიგ საკითხებზე.

ნ. ქარცივაძე კითხულობს კანონ-პროექტს ტფილისში არჩეულ ორ მომრიგებელ მოსამართლის, იმათ მდივანთა და თარჯიმანთათვის დამატებითი ჯამაგირის დაწესებისა და საკანცელარიო ზედმეტ ხარჯების გადადების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ეს კანონი იუსტიციის მინისტრმა დიდი ხანია წარმოუდგინა ეროვნულ საბჭოს, მაგრამ იურიდიულ კომისიაში დაგვიანდა მისი განხილვაო.

მუხლობრივ განხილვის შემდეგ საბჭო უკამათოდ ამტკიცებს ამ კანონ-პროექტს.

მოქალაქე იაკობ ნიკოლაძისათვის ჯილდო.

დ. ონიაშვილი მოახსენებს იაკობ ნიკოლაძისათვის გასამრჯელოდ 3000 მანეთის მიცემის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის დროშის გეგმის შედგენისათვის. ეს წინადადება წარმოდგენილია ხელოვნების კომისიის მიერ. საბჭო უკამათოდ ამტკიცებს ამ წინადადებას.

კამათის გაგრძელება ა. ახმეტელის შეკითხვის გამო სასურსათო ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ.

ამხ. თედო ღლონტი. ბატონებო, სასურსათო საკითხში რამდენიმე მომენტია შეტანილი ახმეტელის შეკითხვა რამდენადაც იგი არ უნდა იყოს საინტერესო მე გვერდს უვლი, ვინაიდან ამ საქმეში გაცილებით მეტი მნიშვნელობა სასურსათო საქმის სისტემას აქვს, ვიდრე სენსაციურს ცნობებს ბოროტმოქმედების სფეროდან. მაგრამ ვიდრე ამ სისტემას შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი აღვნუსხო. ბევრი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სურსათის საქმის მეთაურის პიროვნებას, მაგრამ ეროვნულ საბჭოში პიროვნებაზე ლაპარაკს ვერ დავიწყებთ, ეს ჩვენი მთავრობის საქმეა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთავრობა ასეთ პიროვნებას ქართველ ხალხში იპოვნის. მაგრამ ჩვენ ყოველთვის მეტ ყურადღებას ვაქცევთ თვით სისტემას, ვინაიდან ყოჩაღ პიროვნების მუშაობისათვის გონივრულ სისტემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: თუ ძლიერი პირები არ გვყვანან სურსათის საქმისათვის, სუსტი ადამიანებისთვის ხომ პირდაპირ აუცილებელი, მტკიცე სასურსათო ორგანიზაცია და სისტემა.

სამწუხაროდ ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა ეხლა უფრო უმწეოა ვიდრე გუშინ ყველა უწყებაზე მეტად საჭიროა სასურსათო უწყებაში კონსერვატიული გრძნობა, ვინაიდან ამ საქმეს დიდი კავშირი აქვს პროფესიასთან, სპეციალობასთან და შეუძლებელია ყოველი

მცირეოდენი ცვლილება სამინისტროში სრულ რეორგანიზაციას იწვევს სურსათის საქმეში. ნამდვილად კი სურსათის ისტორიას არ ახსოვს ტრადიცია, სისტემა. ტერ-გაბარიან-ხატისოვ-საჯაიან-ლორთქიფანიძე სრული განსახიერებაა იმისა, რომ ამ ცვლილებათა წიაღში არაფერის გაკეთება არ შეიძლება. მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე უკვე ახალი სისტემაა წარმოდგენილი, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება ჩვენს დღევანდელ სამინისტროების მუშაობას. მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ მთავრობამ უკვე მოახდინა რეორგანიზაცია, გააუქმა სასურსათო სამინისტრო და შექმნა სასურსათო საბჭო. ჯერ უნდა ვსთქვა: რაკი სურსათის სისტემის საკითხი ეროვნულ საბჭოში დაისვა მთავრობას უნდა ყური დაეგდო თვით ეროვნულ საბჭოსთვის დ შემდეგ გადაედგა პრაქტიკული ნაბიჯი. მაგრამ მთავრობამ არ დაუცადა ეროვნულ საბჭოს და თვითონ მოახდინა ამ საქმის რეორგანიზაცია. ეს ისეთი დიდი ცვლილებაა ჩვენი ცხოვრების და სახელმწიფოებრივ პოლიტიკის, რომ შეუძლებელია იგი უფრო არსებითად არ გავარჩიოთ. ბევრს გონია რომ ამ აქტით დიდი ცვლილება არ მოხდარა არსებითად, მაგრამ აბა დავაკვირდეთ საქმის მდგომარეობას. სასურსათო საბჭოში თავმოყრილია მრავალ საზოგადო-სახელმწიფო დაწესებულება, ამ საბჭოს სათათბირო მნიშვნელობა კი არ აქვს, როგორც სხვა უწყებასთან არსებულ საბჭოებს, არამედ გადამჭრელი ხმის უფლება. ამნაირად უფლებრივად ამ საბჭოს ის აქვს, რაც ყველა სხვა საბჭოს აკლია ამ ჟამად. ამ დიდ უფლებრივ მდგომარეობას საბჭო თვითონ გრძნობს და აქედან გამომდინარეობს სათანადო დასკვნებიც. სხვა უწყების საბჭოს თავმჯდომარეობს მინისტრი და ეს არავის ეუცხოება, აქ კი იგზავნება დანიშნული თავმჯდომარე და რაკი საბჭოს ხმის უფლება აქვს, ის ამ უფლებასაც მოითხოვს და მთავრობის თავმჯდომარეს უარჰყოფს. ამ ნიადაგზე უკვე გაჩაღდა მთავრობასა და საბჭოს შორის ბრძოლა, რაიცა არ მომხდარა სხვა საბჭოს ისტორიაში. ამ ბრძოლამ სასურსათო უწყებაში ფრიად არასასურველი ხასიათი მიიღო, მოსამსახურენი უკვე აზბილებენ საბჭოს და მთელს უწყებაში ქაოტიური მდგომარეობა გაძლიერდა. წარმოიდგინეთ ეხლა ეს საბჭო მეორე მხრივ. სამინისტროს ყველა უწყებაა აქ წარმოდგენილი და ამ წარმომადგენლებს კი თავმჯდომარეობს არა მინისტრი. აშკარაა, რომ პირდაპირ ანორმალური მდგომარეობაა და შექმნა, მთელი ახალი თავისებური კაბინეთისა. მაგრამ უკუღმართობა კიდევ საოცარია თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: დიდი უწყების წარმომადგენელის მესვეურს კაბინეთში მონაწილეობის უფლება არ აქვს. მას არ შეუძლია, როგორც ყოველ მინისტრს, გამოვიდეს ეროვნულ საბჭოს წინაშე. გარდა ამისა, ამ საბჭოს მესვეურს არ შეუძლიან ისეთი ურთი-ერთობა დაიჭიროს შინა და გარეშე ძალებსა და ქვეყნებთან, როგორც ეს შეუძლია მინისტრს. თუ სურსათის საქმე დიდი საქმეა, აქ სამინისტროს უფლებრივი მდგომარეობა მაინც არის. საჭირო, მაგრამ მთავრობამ კი ეს საკითხი დააწვრილმანა და დააპატარავა. ეხლანდელი სასურსათო საბჭოს ხელში არ შეიძლება მოხდეს ცენტრალიზაცია მართველობის და კონცენტრაცია იმ სიმდიდრის, რომელიც არის დღეს სხვა და სხვა უწყების ხელში. უამისოდ კი პირდაპირ შეუძლებელია რაიმე მიზანს მივაღწიოთ, მით უმეტეს ამიერიდან სურსათის სამინისტრომ უნდა მეტი ყურადღება მიაქციოს ფაბრიკატების შეძენას ნაცვლად უმი მასალებისა, რაიცა მოითხოვს ფულზე მეტად ჩვენს ქვეყნის ხელში არსებული სხვა და სხვა საქონელს. ამ დიდი საორგანიზაციო საქმის შესრულება ამ საბჭოს აღარ შეუძლიან, ის ხელს ვერ ახლებს მომარაგების კომიტეტს. ვერ დაიმორჩილებს გაცვლა-გამოცვლის კომიტეტს, ვერ მოაქცევს თავის განკარგულებაში კერძო საწყობებსაც. ერთი სიტყვით მთელი ეს უწყება ქიმერაა, რჩება ჰაერში გამოკიდული, რომელიც ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს ხალხს. ასეთია იმ ორგანიზაციის უფლებრივი და არსებითი მდგომარეობა, რომელმაც უკვე ის შესძლო რომ ჯილი მოუმართა ჩვენს მთავრობას.

ჩვენ უარვყოფთ ამ საბჭოს და მოვითხოვთ სასურსათო სამინისტროს დატოვებას, მაგრამ არა იმ ქაოტიურ პირობებში, რომელშიაც მოვაქციეთ ის წინად. ყოვლად შეუწყნარებლად მიგვაჩნია ერთი უწყება იყოს და იმავე დროს მთავარ დარგის ისეთი დიქტატორები იყოს, რომელიც სურსათის საქმის მესვეურის დაუკითხავად და ავტონომიურად მოქმედებდეს. ეს არსებითად მრავალ მთავრულ პრინციპის შეტანა ერთ უწყებაში, რის დიდ უხერხულობას თვითონ მინისტრიც გრძნობს, მაგრამ რისთვისღაც სდუმს იქ, სადაც ლაპარაკია საჭირო. ამნაირად პირველი ჩვენი მოთხოვნილებაა სასურსათო უწყებაში ცენტრალიზმის პრინციპის შეტანა და დამორჩილება ყველა იმ დაწესებულების და უწყების, რომელნიც დღეს ინახავენ, ანაწილებენ და სცვლიან სხვა და სხვა საქონელს. ეს არის კონცენტრაციის პრინციპის შეტანა სამინისტროში. ამავე დროს ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამინისტროსთან საბჭოც არსებობდეს სადაც თავმოყრილი იქნება ქართველ ხალხის ყოველი ცოცხალი ძალა, ამ საბჭოს შეადგენს სამინისტროების რწმუნებულნიც და მას ექნება რჩევითი უფლება, რითაც სათანადო დახმარებას გაუწევს მინისტრს ამ ძირითად დებულებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი გეგმა მოღვაწეობისათვის, მაგრამ რაკი ამას ინსტრუქციის მნიშვნელობა აქვს, აქ აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ვიტყვით მხოლოდ, რომ საჭიროა სასურსათო სტატისტიკა უნდა მოგვარდეს, ეს აუცილებელია და დღეს არავითარი სწორი ცნობა არ აქვს სამინისტროს საქართველოს ეკონომიის შესახებ. პურის მონოპოლიის გეგმაც უნდა უარვყოთ, ვინაიდან იქ, სადაც მტკიცე ფასების სისტემაც არ არის ფაბრიკატებზე, იქ პურის მონოპოლია დაზარალებს მიწის მუშებს და შექმნის ათასგვარ პირობას ანარქიისათვის.

(დასასრული იქნება).

ზავის გარშემო

ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ ბულგარეთის პარლამენტიორები უკვე სალონიკში არიან.

რეიტერის ბიურო იტყობინება, რომ შეთანხმების სახელმწიფოები ბულგარეთს ზავის წინასწარ პირობად უდებენ ბულგარეთის ლაშქრის დემობილიზაციას და ბულგარეთის მიერ დაპყრობილ ადგილების განთავისუფლებას.

შვეიცარიის პრესა აღნიშნავს, რომ ბულგარეთის ამბები იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ნათელი არ არის. შეთანხმების სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ საჭიროა გერმანიის სუსტი მოკავშირეების დამარცხება. იგინი საკმაოდ ძლიერი არიან, რომ განაგრძონ დაწყებული საქმე და საბოლოოდ დასცენ გერმანიის ძლიერება. თუ ადამიანების განზრახვები შემცდარი არ არის, გერმანიის გენერლებმა უკვე წააგეს.

ბერლინსა და ვენაში დიდი მღელვარება გამოიწვია ბულგარელების წინადადებამ. ბერლინის საპარლამენტო წრეებში დაიბნენ. ფონ-ჰინტცეს მოხსენებამ რეიხსტაგის მთავარი კომისიაში არა თუ შეანელა ეს მღელვარება, არამედ უფრო გააძლიერა. ბერლინიდან გასულ დეპუტატებს დეპეშით ეცნობა. დაბრუნებულიყვნენ, „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ ბულგარეთის საქციელს ღალატს უწოდებს: გერმანიის მდგომარეობა ამით სერიოზული ხდებაო. ავსტრიაში მღელვარება ისევე ძლიერია, როგორც გერმანიაში. ვენიდან „ფრანკფ. ცაიტუნგს“ დეპეშით ატყობინებენ, რომ პრემიერმა ფრაქციის ლიდერთა კრება მოიწვია დიდად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხის გამო ამ კრების შემდეგ ვენის საპარლამენტო წრეებში ხმები დადის, ხუსარეკს მიანდობენ ახალ კაბინეტის შედგენას, რომელიც შესძლებს მონარქიის ძალების შეკრებას... (დამახინჯებული და მარტივებულია).

ტრანს-ოკეანეს გერმანული პრესა. 9—29. ჩვენი ერის ყოველივე წევრმა, რომელიც ბრძოლის ველზეა, უნდა შეიგნოს, რომ ეხლა ისე, როგორც არასდროს, ყოველივე მასზეა დამოკიდებული. ეხლა საქმე გამარჯვებაში კი არ არის; საქმე ის არის, რომ რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ ზავს, ისეთს ზავს, რომელიც მძიმე ტვირთად არ დააწვეს ხალხს. რამდენიმე კვირის მოთმენას შეუძლია მრავალწლიან უბედურებას გადაგვარჩინოს ცხადია, მსხვილ საყოველთაო ზავსა და საყოველთაო განიარაღება შეუძლია მიანიჭოს ერებს საჭირო ძალა და ენერგია იმის აღსადგენად, რასაც 4 წლის განმავლობაში ომი ანგრევდა და ანადგურებდა მხოლოდ სახალხო მთავრობას, რომელსაც მთელი ასეთი ზავის შეკვრა. მას შეუძლია ამის გაკეთება, თუ ფრონტი მტკიცე იქნება და თუ ქვეყანაში წესიერება იქნება. ომიც ბოლოვდება, ის ამ ჟამად მხოლოდ მოგერიებითია. „ფორვერტსი“ ამბობს: ჩვენმა ხალხმა ბოლომდე შეასრულა თავისი ვალი და უკანასკნელ წუთსაც არ უღალატებს მას.

ომის დეპეშები

დასავლეთის ფრონტი

ბერლინი 10—1. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ზღვის სანაპიროს მახლობლად რამოდენიმე ასეული ტყვე წამოვიყვანეთ. ფლანდრიაში ჩვენი ახალი ფრონტი საზურგო პოზიციებზე გადის, ხანძეის სექტორიდან, როზელიარის აღმოსავლეთით, ლელეგემ-იზლეუმზე ვერფისაკენ და შემდეგ ლისის დაბლობში ჩვენი ძველი პოზიციებისაკენ არმანტიერთან გუშინ მტერმა იერიში მოიტანა როზლიარსა და ვეფრიკს შუა, ის ჩვენი ხაზების წინ მოვიგერიეთ. გუშინ ბელგიელებთან და ინგლისელებთან ერთად ფრანგებიც დავატყვევეთ მტრის იერიში ფლეუპესა და გიულიუკს შუა და ნაწილობრივი იერიშები ფრიმელისა და ობერანეს მაღლობების წინააღმდეგ დამარცხდა. ინგლისელები განაგრძობენ იერიშებს კამბრეს ორივე მხრით. შუადღეზე კანადის ახალმა დივიზიებმა მოახერხეს წინ წაწევა კამბრეს მახლობლად რამილიესკენ. გენ.-ლეიტ. ფონ ფრიჩის მეთაურობით ვიურტენბერგის სათადარიგო დივიზიამ მტერი ტილლუადან გარეკა. აგრეთვე კამბრეს სამხრეთითაც, მიუხედავად მტრის იერიშებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი პოზიციები.

ბოიინეს ლაშქარი. კატელეს ორივე მხრით მტერმა განაახლა იერიშები ხანვილსა და ქონკურტს შუა. აგრეთვე ქონკურტის სამხრეთითაც და სომის სამხრეთით საღამოს სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. მტრის იერიშები ყველგან მოვიგერიეთ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ფრანგებმა იერიშები მოიტანეს ჩვენ ხაზებზე ენსა და ვესლას შუა და ბრეილსა და უონმერის შუა. ეს იერიშები დამარცხდა, მხოლოდ ბრეილის ჩრდილოეთით, მაღლობებზე მტერმა ოდნავ გაიმარჯვა. შამპანში მტერმა იერიში მოიტანა სიუიპის აღმოსავლეთით, სენ-მარი-ა-პის წინააღმდეგ, სომა-პის ჩრდილოეთით და ჩვენ ახალ ხაზებზე, რომელიც ღამით ავიღეთ ორისა ვერნის ჩრდილოეთით, ეს იერიშები მოვიგერიეთ. სენ-მარი-ა-პის მახლობლად ფრანგების ორი როტა დავატყვევეთ, ამერიკელებმა იერიშები მიიტანეს არგონის აღმოსავლეთით. ბრძოლის ცენტრად იყო აპრემონი და მონტრებოს ტყეები. ჩვენ ყველგან მოვიგერიეთ მტერი. მტერი გუშინ ძალიან დაზარალდა.

ჰალვიცის ლაშქარი. მეუზას დასავლეთ ნაპირით საარტილერიო ცეცხლის მოქმედება. არტილერიამ, საპიორებმა და ქვეითა ჯარმა მტრის მრავალი ჯავშნოსანი („ტანკი“) გაანადგურა.

ვენა 10—1. ალბანიის ფრონტის სხვა და სხვა ნაწილში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა. ამას გარდა არავითარი ბრძოლა არ სწარმოებს.

ბერლინი 10—1. საღამოს ცნობა. ფლანდრიის მტრის ძლიერი იერიშები კამბრეს ორივე მხრით და შამპანში მოვიგერიეთ.

პარიზი 9—30. ფრანგებმა გადალახეს სენ-კანტენ-ლაფერის გზა და ხელთ იგდეს ტყვეები, შამპანში ფრანგებმა განაგრძეს შეტევა მარჯვენა ფრთით და დაიპყრეს ბუკკონვილი, აღმოსავლეთით მათ დაიპყრეს კიულევის მთა, ფრანგებმა დაიპყრეს სოფ. სეჟე. აღმოსავლეთით დაპყრობილია არდეილი და ფოქსელი.

პალესტინის ფრონტი.

სტამბოლი 10—1. ჩვენი ჯარი იბრძვის დამასკის სამხრეთით მტერს, რომელიც ელ-კანეტრზე შემოიჭრა.

ახალი ამბავი

◆ **გერმანელი ჯარის-კაცები.** ოქტომბრის 1-ს საღამოს 10 საათზე, მიხეილის ქუჩაზე ოფიცერი ეფრემიძე ოთხ ქალთან ერთად მოდიოდა. სამი ქალი ჩამორჩა მას. ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა შეაჩერა ისინი, ერთს წამოსასხამი წაართვეს და ორს შეურაცხყოფა მიაყენეს. ქალებს ეფრემიძე მიეშველა, ჯარის-კაცები დაატუსაღეს.

◆ **სადგ. საცერიდან** იტყობინებიან, რომ სექტემბრის 30-ს მინერალურ წყლების სადგურიდან ორთქლმავალით ჩამოვიდნენ ავაზაკები მორჩაძის მეთაურობით. ავაზაკებმა სადგურის უფროსი და ტელეგრაფისტი მოითხოვეს, მაგრამ უკანასკნელნი დროზე მიიმალნენ. ბოროტმოქმედებმა წაიყვანეს რამდენიმე კაცი და ტყიბულის მიმართულებით გაემგზავრნენ

◆ **აფხაზეთის საქმეთა სამინისტროს** შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა შემუშავებულია და მთავრობას წარედგინა დასამტკიცებლად

— აფხაზეთის საქმეთა მინისტრი რ. ნ. ჩხოტუა გუშინ საღამოს 11 საათზე სოხუმს გაემგზავრა.

◆ **თერგის მთავრობის შუამდგომლობა.** თერგის მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ თანახმად დადებულ ხელშეკრულობისა, საქართველოს მთავრობამ განათავისუფლოს ძველეთის ხიდზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, დატყვევებული წითელი რაზმელები და მისცენ მათ უფლება კავკავში დაბრუნდნენ.

◆ **სანაპირო დარაჯის უფროსი** პოლკ. მაყაშვილი, თანახმად სამხედრო მინისტრის ნებართვისა, გაემგზავრა სალოღლისა და ფოილოს საქმეების გამოსარკვევად. მის დაბრუნებამდე სანაპირო დარაჯის უფროსის თანამდებობის ასრულება სამხედრო მინისტრმა მიანდო პოლკ. კაკაბაძეს

◆ **სომხეთის მთავრობა.** სომხეთის მთავრობამ სასურველად სცნო მონაწილეობა მიიღოს გერმანია-კავკასიის ბანკის ორგანიზაციაში. ბანკის წესდებას მიიღებს სომხეთის მთავრობა მას შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს, რადგანაც ბანკი და გამგეობა ტფილისში იქნება.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა მოაგროვოს სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებიდან შემოსავლის 3 პროცენტი ქალაქის სასარგებლოდ.

◆ **გენ. ანდრანიკის მოკვლა.** ერევნის გაზეთის ცნობით ზანგეზურში მოუკლავთ გენ. ანდრანიკი.

◆ **ობოლთა დახმარება.** სექტემბრის 1-ს სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების დარბაზში შესდგა ყველა ორგანიზაციის და დაწესებულების წარმომადგენლების კრება, სადაც განხილულ იქმნა საკითხი უსახლ-კარო ობოლთა დახმარების შესახებ. გამოირკვა სურვილი, რომ მდიდრებმა აიყვანონ რამოდენიმე ობოლი და ასწავლონ მათ სასწავლებლებში.

◆ **სოჭში.** როგორც სარწმუნო პირები გვატყობინებენ, სოჭის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მოიწვიოს ალექსეევი. სოც.-დემ. ფრაქციამ სხდომა დასტოვა. სხდომაზე არჩეულ იქმნა საამისო დელეგაცია. იგი ალექსეევთან უნდა გაემგზავროს მოსალაპარაკებლად.

◆ **ტყეების ჩაბარება.** ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, აგრეთვე სოჭისა და გაგრის ნაწილებში მოქმედობს 16 კერძო მესაკუთრეების ტყის მიმღები კომისია. მუშაობა ნაყოფიერია.

◆ **სახალხო თეატრი** დღეს, საღამოს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება. სეზონის გასახსნელა დახალი ორიგინალური პიესა: **„ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“**. დასაწყისი 8 საათზე ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **სემინარიელ მოწაფეთა საყურადღებოთ** შაბათს, ოქტომბრის 5-ს, დილის 9 საათზე სემინარიის ახლ შენობაში დანიშნულია მოწაფეთა კრება ფრიად საჭირო და საჩქარო საკითხების განსახილველად; ამისთვისა ვსთხოვთ ტფილისში მყოფ ყველა სემინარიელებს გამოცხადდნენ კრებაზე.

◆ **სპეკულიანტების შეპყრობა.** შინ. ს. სამ. არსებულმა საგანგებო რაზმმა მსხვილი სპეკულიანტების ბრბო აღმოაჩინა. დატუსაღებული არიან: არუთიუნ ნიკოლოზის ძე სეილანოვი, კაპ. ს. რაიგულოვი, სტეფანე ზაქ. მირონოვი, პოდპოლკ. სერ რიაბრინსკი, მიხ. რადლისი, სოლ. პოლიაკი, კაპ. ევგრაფე ბაკონინი, პოდპ. იური ლეონიძე და ვლ. კოვაჩიჩრეკი დროს მათ საგულისხმო დოკუმენტები აღმოაჩნდათ გამოძიება სწარმოებს.

◆ **ალლუმი ქუთაისში.** სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ ერ საბ წევრის ს. მდივნის თანადასწრებით ალლუმი გაუმართა ქუთაისის გარნიზონის ჯარებს მათ ყაზარმებში, ჯარის მდგომარეობით მინისტრი კმაყოფილი დარჩა. სამხედრო მინისტრმა დეპეშით აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, პირველი დივიზიის შედგენის საქმე კარგად მიდისო.

◆ **საქართველოს წარმომადგენელი მოსკოვში** გ. ხუნდაძე მეორედ გაემგზავრა მოსკოვს ის ამას წინად, მაგრამ გზიდან დაბრუნდა, რადგან სახ. კომ. საბჭომ უკვე ღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და საჭირო იყო საელჩო ქაღალდის მიღება.

◆ **სამხედრო სასამართლოს შემადგენლობა** სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა სამხედრო-სასამართლოს სესიის შემადგენლობა ტფილისში რომ უნდა შესდგეს ოქტომბრის 12-დან 26 მდე. სესიაში შედიან, ოფიცრებიდან: კურცხალია, ჩიქოვანი, გველესიანი, ჯაფარიძე, კანდელაკი, ავალიანი, ანთაძე, მაჭავარიანი, ფორაქიშვილი, ტყემალაშვილი. ჯარისკაცები: გ. მაჭავარიანი, ტ. ჩოქური, ალ. მაქარაშვილი, ვ. ალსიაშვილი, ტ ნოდია. [illegible] მიხოვსკი, ძ. უმისა, გ. ჯანჯალ[illegible] აზიკოვი და გ. ჯიბლაძე.

◆ **უნდობლობა საგანგებო რაზმს.** სოციალისტ-რევოლიუციონერების წინადადებით ტფილისის საბჭომ წინააღმდეგ სოც.-დემოკრატებსა უნდობლობა გამოუცხადა საგანგებო რაზმს და წინადადებას აძლევს მილიციას მას დახმარება არ გაუწიოს.

◆ **სარეკლამო ბიურო.** ტფილისში დაარსდა სარეკლამო ბიურო „რიაშ“. ბიურო მიიღებს განცხადებას, ხელის-მოწერას სხვა და სხვა. გამოცემებზე და სხვა ბიურო იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, საჯ. ბანკის პირდაპირ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ახალგაზდების კრება. დღეს, საღამოს 5 საათზე პარტიულ მთავარ კლუბში დანიშნულია ახალგაზდა სოციალ-ფედერალისტ ქალ-ვაჟთა საერთო კრება, ფრიად საჭირო საკითხების განსახილველად.

ამხანაგებსა ვსთხოვთ ამ კრებას აუცილებლად დაესწრონ.

ფარმაცევტთა კრება. ხუთშაბათს ოქტომბრის 3-ს, საღამოს 9 საათზე პარტიულ ბიუროს დარბაზში მოხდება ტფილისის ს.-ფ. ფარმაცევტთა კრება კრება როგორც მეორედ მოწვეული კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. დღიურ წეს-რიგში გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ძველი გამგეობისა, 2) ახალი გამგეობის არჩევნები და სხვა. ამხანაგებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ.

კრება ნაძალადევში. პარასკევს, ოქტომბრის 4-ს, საღამოს სწორედ რვის ნახევარზე ნაძალადევის ეკლესიის სამრევლო სკოლაში დანიშნულია ამ რაიონის სოციალისტ-ფედერალისტების კრება. ამხ. **ქრისტ. რაჭველიშვილი** წაიკითხავს მოხსენებას: საქართველოს საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

სამეგრელოში.

სექტემბრის 13.

პარტიზანული პოლკი მოქმედებას განაგრძნობს სოფლებშია სხვა ჯარები უკვე განთავისუფლებული არიან. ნაწილი ამ ჯარებისა წასულია სამეგრელოდან, ნაწილიც წასასვლელად ემზადება

ჩვენს პარტიზანებს წინაამდეგობა არა ხვდება რა სოფლად პირიქით, ხალხი, რომელიც დარწმუნდა, რომ ჯარი მისი მოყვარეა და არა მტერი, დიდს დახმარებას აძლევს ჩვენს პოლკს და თავ ანთს უძღებ შვილებს ურჩევს, იარაღი ჩააბარონ და დანებდნენ „გედევანი“-ს რაზმს. ბევრი წმინდა ყაჩაღი იძულებული ხდება იარაღი დაჰყაროს რადგანაც ხალხის საერთო სურვილის წინააღმდეგ ვეღარ წასულა. ამ დღეებში უკვე გამოცხადდა ერთი ათი ყაჩაღი. ასევე აპირობენ ყაჩაღთა ცნობილი მეთაურებიც რომელებიც უკაცების პირით სასჯელის შემსუბუქებას, ან სრულს პატიებას თხოულობენ. მაგრამ სდგას მხოლოდ ყაჩაღი ხვიტია და ხშირად უთვლის ჩვენ პარტიზანებს: ჩვენ მენშევიკებს ვებრძვით და ფედერალისტები რად ერევით საქმეშიო.

სასტიკი რეპრესიები როგორც ვწერდით, არ ყოფილა მიღებული დღემდე, მაგრამ ჯარი იძულებული გახდა ერთს შემთხვევაში ამ გზისთვის გადაეხვია:

ამ რამდენიმე დღის წინად ჯარმა, სხვათა შორის, გაიარა სოფელ კირცხში, სადაც იარაღი მოაგროვა და კომისარი და მილიციონერები დააყენა. ჯარის წასვლის შემდეგ არჩეულ პირთ ოთხი თავაღებული პირი დაეცა, ოთხს მილიციონერს იარაღი აჰყარა. კომისარი დასჭრა და გაიქცა. ჯარმა ამის შემდეგ ამ სოფელში დამნაშავეთა სამი სახლი დასწვა. აღსანიშნავია, რომ ამ სახლების გადაწვამ ხალხში კმაყოფილების გრძნობა გამოიწვია.

სოფლებმა საერთოდ მოისვენეს და ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგნენ გზები გაიხსნა და ისინიც ზუგდიდს მოეშურებიან და ბაზარში გამოაქვთ, რაც გასაყიდი აქვთ.

ზუგდიდში ბაზრობა კვირაში ორჯელ იმართება: პარასკეობით და კვირაობით. აგერ რამდენიმე თვეა, ბაზრობა აღარ გამართულა, რის გამოც ამ ქალაქში სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ და სიძვირემ ბოლო ხანს მაინც გასაკუთრებულად იჩინა თავი. დღეს, აპრილის 13-ს (პარასკევია) ამ ხანგრძლივ ანარქიის შემდეგ პირველად იმართება ბაზრობა, რომელსაც ბევრი ხალხი ესწრება. სოფლიდან განსაკუთრებით სიმინდი, რომლის ფასმაც დღეს ძალიან დაიწია. თუ აქამდე სიმინდის ფქვილი (ფუთი) ღირდა 100—120 მან ახლა მხოლოდ 6„— 60 მ. ფასობს. ხალხი ბა-

ზარში ირევა, თავი სიზმარში მგონია და არა სცხადე, თუ დამყარდა ის სანატრელი მშვიდობიანობა, რომელსაც ასე ხანგრძლივ იყვნენ მოკლებულნი.

სენაკში ახალი გაზეთები სამი-ოთხი დღის შემდეგ მაინც მოგვდიოდა ხოლმე. აქ კი, ზუგდიდში, ამასაც მოკლებული ვართ. დღეს სამკითხველოში მოსულია მხოლოდ სექტემბრის 6-ის გაზეთები რომელიც უკვე წაკითხული მაქვს სენაკში. ერთი სიტყვით ტფილისის გაზეთები გზაში ხანდდება არა ნაკლებ ერთის კვირისა.

სექტემბრის 14.

დღეს წალენჯიხს მოვიდა და პარტიზანულ პოლკს გამოეცხადა ყაჩაღთა ორი ცნობილი მეთაური ისაკ კვარაცხელია და ფიფია. მათ იარაღი დაჰყარეს და სინანული გამოსთქვეს მთავრობის საწინააღმდეგო საქმეში ჩარევის გამო. თავს იმით იმართლებდნენ, რომ იძულებული ვიყავით სხვებს ავყოლოდით, რომ არ დავეხოცეთო.

ისინი პირობას სდებენ, რომ თავიანთ ჯგუფის წევრებსაც მოიყვანენ. ამის გამო ჯარი კვარაცხელიას ათავისუფლებს სოფლის თავმდებობით. ფიფია ჯართან რჩება. როგორც ფიფია ამბობს, იმ ბრძოლაში, რომლის დროსაც არჩილ საყვარელიძე მოჰკლეს, მონაწილეობა მიუღია 40-დე ყაჩაღს ხვითიას მეთაურობით. ხვითიას ბრბოდან ჩვენს პარტიზანებს მოუკლავთ ორი კაცი და დაუჭრიათ ერთი, რომელიც ბრბოს თან გაუტაცნია. ხვითიასთვის თავგზა უფრო იმას აუბნევია ამ ბრძოლის დროს, რომ პარტიზანების რიცხვი თორმეტი კი არა, არა ნაკლებ ასისა ჰგონებია, რადგანაც პარტიზანებმა ბრბოს სხვა და სხვა მხრიდან აუტეხეს სროლა.

სექტემბრის 15.

თავმდებობით განთავისუფლებული კვარაცხელია დღეს წალენჯიხს ბრუნდება და თავისი ამხანაგები მოჰყავს. ისინი მორჩილებას აცხადებენ, იარაღს ჰყრიან და სასჯელის პატიებას თხოულობენ. კვარაცხელიას უცდია ცნობილ ხვითიასთან მოლაპარაკება, მაგრამ საქმე სასურველად ვერ დაბოლოვებულა. პირიქით, ჩხუბი მოსვლიათ და ხვითიას კინაღამ მოუკლავს კვარაცხელია.

ამ მოკლე ხანში გაასამართლებენ ზუგდიდის მაზრის კომისრად ნამყოფს სვიმონ თოლორდავას, რომელიც ამას წინად დააპატიმრეს და რომელზედაც ბევრი ცუდი ითქმება.

ეს თოლორდავა საკმაოდ ცნობილი პირი ყოფილა და დიდის ნდობითაც ყოფილა მოსილი. რევოლიუციის პირველ დღეებში იგი მოვლენია ზუგდიდს, როგორც გლეხთა დეპუტატების საბჭოს რწმუნებული. შემდეგ, როდესაც ზუგდიდის მაზრაში თავი უჩენია ყაჩაღობას, თოლორდავა დაუნიშნავთ მფრინავ რაზმის უფროსად. თოლორდავას მეტად სასტიკი ზომებისათვის მიუმართავს და ხალხი ძალიან აუღელვებია არავინ არ იყო დარწმუნებული, რომ ყოველიფრის გამანადგურებელი ხელი ამ მოვლენილ მტარვალისა, ადრე თუ გვიან არ გადასწვამდა ამა თუ იმ კაცის სახლს. უდანაშაულო ხალხის დაჭერას ხომ საზღვარი არა ჰქონია ამ დროს. ერთი სიტყვით ამ დროინდელი მოღვაწეობა თოლორდავასი ცეცხლითა და მახვილით არის აღბეჭდილი სამეგრელოში.

გადის დრო და თოლორდავა კიდევ ევლინება სამეგრელოს, როგორც სასურსათო კომიტეტის რწმუნებული. იგი კომიტეტის სახელით სიმინდს ყიდულობს სოფლად და როგორც ირწმუნებიან, ზნეობრივ სიწმინდეს ვერ იცავს ამ საქმეში. მას ჯერ ანგარიშები გასწორებული არცა აქვს და ამ დროს მას ნიშნავენ ზუგდიდის სამაზრო კომისარის ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. საკმარისი იყო, რომ იგი კომისრად რაღაც სამიოდე თვე დარჩენილიყო, რომ ყოველივე საზოგადოებრივი საქმე მაზრაში შერყეულიყო და მთელი მაზრა ანარქიის ცეცხლს მოეცვა. თოლორდავა არა თუ ღონისძიებებს არ იღებდა ანარქიის წინააღმდეგ; პირ-იქით, მოწყალე თვალით უცქეროდა ამ ანარქიის გამომწვევთ, ეგრედ წოდებულ ბოლშევიკებს. ყველაფერს ბოლო აქვს და თოლორდავას თარეშსაც მოეღო ბოლო. ამ ერთის თვის წინად იგი შეიპყრეს და მის შესახებ უკანასკნელ სიტყვასაც მართლმსაჯულება იტყვის.

აღარას ვიტყვი იმ წვრილ თოლორდავებზე, რომელნიც ზუგდიდის მაზრის სოფლებში მრავლად იყვნენ მოვლენილნი, როგორც ადმინისტრატორნი და ნამდვილად კი ემსახურებოდნენ უწესოების შექმნას და მის გაძლიერებას.

სექტემბრის 16

პარტიზანების პირველი ნაწილი უკვე შედის სოფელს ჯვარში, სადაც უნდა გათავდეს სამეგრელოში დაწყებული სამხედრო მოქმედება. ხალხი ჯარს დიდის თანაგრძნობით ხვდება და თანახმაა ყველა მოთხოვნილება აასრულოს.

ირკვევა' რომ ყაჩაღთა ბრბოები იშლებიან და ყოველგვარ ორგანიზაციულად შეკავშირებულ ჯგუფების ხასიათს ჰკარგავენ. ჯვარში მოდის თავის იარაღით და მორჩილებას აცხადებს ხვითიას მარჯვენა ხელი და „საიმედო" ამხანაგი ქანთარია. მასთან ხვითიას ჯგუფის სხვა წევრებიც მოდიან. ეს ხალხი მოჰყავთ კვარაცხელიას და კარტოზიას, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინად დამორჩილდა ჯარს და კირცხში გამოცხადდა. ეს კარტოზიაც ხალხის თავმდებობით არის განთავისუფლებული.

საერთოდ ეს კვარაცხელია და კარტოზია ამ ჟამად დიდს დახმარებას უწევენ ჯარს. ისინი დადიან სოფელ-სოფელ და ხალხს ეუბნებიან, ჩვენ შემცდარნი ვიყავით, ახლა კი ყველა უნდა დავემორჩილოთ ჩვენს კანონიერ მთავრობას და, რითაც შეგვიძლიან, უნდა გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაულიო.

სექტემბრის 17.

სხვა და სხვა დროს შეპყრობილი პირნი, რიცხვით 45 კაცი, დღეს ჯარს მიჰყავს ქუთაისს, სადაც მათ გაასამართლებენ. მათ შორის, ბევრს მძიმე დანაშაული ბრალდება

დღემდე, როგორც ზუგდიდში ცნობა მოდის, სენაკში სამხედრო საველე სასამართლოს სამი კაცისთვის გადაუწყვეტია სიკვდილით დასჯა მთავრობის წარმომადგენელთათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევისთვის. ესენი არიან: ჩხეტიანი, ქაჯაია და ოჩიგავა. ჩხეტიანის შესახებ გადაწყვეტილება ამ სამი დღის წინად იქმნა სისრულეში მოყვანილი.

ხვალიდან ზუგდიდისკენ წამოვლენ პარტიზანულ პოლკის ნაწილები, რომელნიც სხვა და სხვა ალაგას არიან გაფანტულნი. მთელი პოლკი ზუგდიდში მოგროვდება და თითქმის ერთს ორ დღეს დაისვენებს.

აქედან პარტიზანული პოლკი სამურზაყანოს გაემგზავრება.

ყაჩაღი ხვიტია თავისას არ იშლის და ისევ დათარეშობს 6—7 ამხანაგით. იგი ხანგამოშვებით ხან ერთს სოფელში გამოჩნდება ხან მეორეში. იგი ამ დღეებში გზაზე შეხვდა კარტოზიას და ფიფიას, რომელთაც ჯართან თავისი ამხანაგები მოჰყავდათ მორჩილების გამოსაცხადებლად, ამათ ერთმანეთს შორის შეტაკება მოუვიდათ და საქმე იმით გათავდა, რომ ფიზიკურად საკმაოდ დასნეულებული და თითქმის ინვალიდი ფიფია ხვიტიას ტყვედ ჩაუვარდა დანარჩენებმა თავს უშველეს და პარტიზანულ პოლკთან დაბრუნდნენ.

როგორც ვწერდით, ბოლშევიკების მთავარ-სარდალმა" სანდრო გვასალიამ პარტიზანულ პოლკის ჩამოსვლისთანავე თავის რაზმი დაშალა და არა თუ წინააღმდეგობა აღარ გაუწევია ჯარისთვის, პირ-იქით სიჯარო კრებაზე აღიარა და სხვებსაც აღიარებინა აუცილებლობა მთავრობისთვის მორჩილების გამოცხადებისა. უკანასკნელ ხანს იგი მხოლოდ იმალებოდა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე-ღა ფიქრობდა. ახლა კი იგი წარსდგა პარტიზანულ პოლკის წინაშე და მდაბლად თავი დახარა იმ იმედით, რომ ეს პარტიზანები არა კადრულობენ გაუსამართლებლად და მთავრობის დაუკითხავად ვისიმე დასჯას. გვასალია ქუთაისის ციხეში გაგზავნეს მან, სხვათა შორის, სთქვა:

— შეძლებაც რომ მქონოდა, მაინც არ მოვისურვებდი ისეთ ჯართან შებრძოლებას, როგორიც გენერალ გედევანიშვილის პოლკიაო: იგი ხალხს უყვარს და მე ხალხის წინააღმდეგ ვერ წავალო.

როგორც ეტყობა, იგი უმადურია საშა გეგეჭკორისა და სხვების, რომლებმაც იგი ამ საქმეში ჩაახვეს

ესტატე ცხომარიამ თავისი მაინც არ დაიშალა. იგი, როგორც ვწერდი, ნებით გამოცხადდა და მორჩილება გამოაცხადა. ჩვენმა პოლკმა მას თავისუფლება მიანიჭა, რადგანაც სასოფლო საზოგადოებამ ეს მოისურვა და თავმდებობაც იკისრა. საკმარისი გახდა, რომ ჯარი სოფელს მოშორებოდა, რომ ცხომარია ცხვრის ტყავიდან გამომძვრალიყო და ისევ მგლობა დაეწყო. იგი მივარდა ახლად არჩეულ მილიციონერებს, და ლანძღვა დაუწყო:

— გვირჩიეს, მაგრამ თქვენი დღეები დათვლილიაო.

თოფების წართმევაც სცადა, მაგრამ მილიციონერებმა იგი დაიჭირეს ახლა ცხომარია სენაკის ციხეში ზის. როცა ციხეში მოჰყავდათ, გაქცევა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა.

დღეს სამურზაყანოდან დელეგატები მოდიან გენერალ გედევანიშვილის შტაბში. ისინი თხოულობენ დახმარებას. გენერალი უხსნის, რომ მათი მდგომარეობა უკვე გათვალისწინებულია და ამ დღეებში დაიწყება იქ სამხედრო მოქმედება შეიარაღებულ ბრბოების წინააღმდეგ.

დღეს, ღამის 11 საათზე, სოფლებიდან ბრუნდება ზუგდიდის ორი ასეული პარტიზანულ პოლკისა. დანარჩენთ ხვალ მოველით.

რ. ბ—ლი.

თეატრი და ხელოვნება

ზაქ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი".

ამ რამოდენიმე დღის წინეთ, როგორც ნათქვამი გვქონდა, სახელმწიფო თეატრის კომისრის ა. წუწუნავას და ანტრეპრენიორის ნ. ლევიცკის ინიციატივით მოწვეული იყო ჟიური მუსიკოსთაგან, რომ მოესმინათ კომპოზიტორ ზაქ. ფალიაშვილის ხუთ მოქმედებიანი ორიგინალური ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი". ჟიურიში შედიოდნენ: ტფილ. კონსერვატორიის დირექტორი, გამოჩენილი კომპოზიტორი და პროფესორი ნ. ჩერეპნინი, პროფესორები: ი. აისბერგი, ნ. ნიკოლაევი, კომპოზ. საბინსკი, ლიტერატორი ი. ლვოვი, ნ. ქართველიშვილი, ოპერის დასის დირიჟორები, სტოლერმანი, გამოჩენილი მუსიკის კრიტიკოსი ა. ცენოვსკი, არტისტებთა წარმომადგენელი და სხვ. შესრულებული იყო სხვათა შორის „სცენა და არია" აბესალომისა და არტისტ ზალიპსკის მიერ, „არია" მარიხისა მომღერალ ბაბალოვის ქალის მიერ, რამოდენიმე ნომრები გუნდისათვის და ანსამბლები, დიდი ბალეტი მეორე მოქმედებიდან და სხვა, ჟიურიმ ერთ ხმ-დ გადასწყვიტა, რომ ზემოხსენებული ოპერა, როგორც პირველი- სერიოზული დიდი ხელოვნური ნაწარმოები ქართული მუსიკის ლიტერატურაში უეჭველად მიღებული იყოს და დადგმული სახელმწიფო თეატრში ამ სეზონშივე. კომპოზიტორი ჩერეპნინი,—რომელიც საფუძლიანად გასცნობია ამ ოპერის მუსიკას, შემდეგ აზრს გამოსთქვამს, ის ამბობს; რომ ოპერა „აბესალომ და ეთერს" სერიოზული მუსიკალური ღირსება აქვს, საუცხოოდ და მოხერხებულად არის მასში შეზავებული ქართული აღმოსავლეთის კოლორიტი ულამაზეს მელოდიებთან ერთად, მშვენიერი ორკესტროვკა აქვს, ხელოვნურადაა შეთხზული ანსამბლები და ეკუთვნის იმ იშვიათ ნიმუშებს მუსიკალურ შემოქმედებისას ოპერის დარგში, რომელიც ღირსია დიდის ყურადღებისა და რომლის დადგმაც საჭირო და სასურველიც არისო". როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციას გადაუწყვეტია. რადგან ც ოპერა „აბესალომ და ეთერი" თავისი რთული მუსიკით და სიდიდით ბევრს დროს და ენერგიას მოითხოვს,—მუსიკ. ნაწილის მომზადებისათვის, ახალი დეკორაციების დასაწერად, ახალი ტანსაცმელების შესაკერად და სხვა დაიდგას იგი დაახლოვებით იანვრის შუა რიცხვებში. ამ დღეებში როლები განაწილდება არტისტთა შორის და რეპეტიციებიც დაიწყება ავტორის ხელმძღვანელობით. ოპერა დაიდგმის ქართულ ენაზე. ლიბრეტო ამ ოპერის უკვე გამოსცა ქართულმა კლუბმა და იყიდება წ. კ გამავრც საზოგადოების და ყველა სამუსიკო მაღაზიებში.

პატარა ფელეტონი

ნაციონალიზაცია

ჩვენი რესპუბლიკისათვის ნაციონალიზაციის მოხდენა ადვილი შეიქნა.

სადაც კი ქართველი ქალები მიიღეს, იმ დაწესებულებაში ნაციონალიზაცია სასწრაფოდ ხდება! ქალებს კარგად სცოდნიათ ქართული ენა. არც ერთ ამ დაწესებულებებში არამც თუ რუსულად წერას, თვით რუსულად ლაპარაკსაც ვერ გაიგონებთ.

არ გჯერათ? შეიარეთ თუნდ სამხედრო სამინისტროში! თვით ქართულისათვის მიწვეულ დ. კარიჭაშვილსაც-კი გადააჭარბეს!

სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად შემომსვლელი ქალები, თხოვნას სწერენ ვორონეჟულ მართლ-წერით, მაგრამ უნივერსიტეტს ეს მართლწერა არ მიუღია, და, ალბად, მოსალოდნელია საყვედური შეხვდეს ქალებისაგან.

საერთოდ, ყველა უმაღლეს დაწესებულებებში ნაციონალიზაციას „ზედ მიწევნით" მომზადებულნი შეხვდნენ.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველაზე უფრო კარგად და მკაფიოდ ქართულის ცოდნა სჩანს ჩვენი ჯარების სხვა და სხვა ნაწილებში და აქ უკვე მოხდა „მეტად სასურველი" ნაციონალიზაცია. ჯარის-კაცებს სწვრთნიან ქართულ ენაზე და მიწერ-მოწერაც ამ გვარის ქართულით სწარმოებს:

„მე პოდარესტში ჩავსვი ესა და ეს (გვარია მოყვანილი) ერთი სუტკით გთხოვთ, რომ დაუმატოთ კიდევ ხუთი სუტკა, პრიჩინა არის სამოვოლნაია ოტლუჩკა იზა დერსკოე აბრაშჩენიე პრი ნაროდე პადპრაპორჩიკომ. პადპრაპორ. (ხელს აწერს) შემდეგ უმატებს: „უბორკაზეც არ ყოფილა". რედაქტორს გადავეცი ამ წერილის დედანი და ძალიან მოეწონა: საჭიროა ასეთი მართლ-წერის დაცვაო! მითხრა მან.

ამ მართლ-წერას უნდა დავარქვათ ქართულ-ვორონეჟული მართლ-წერა და შემოვიღოთ ხმარებაში, რომ ნაციონალიზაციას უფრო ჩქარა დავადგეთ, რადგანაც ჩ ენს უმაღლეს დაწესებულებებში მომუშავე ქართველ ქალებს ასეთი მართლ-წერა ძლიერ ეხერხებათ!

ხიტა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

იყიდება სასტუმრო ოთახის მოწყობილობა, მუხის და სხვა ავეჯი, ყვავილები, ჰურჰელი. გუნიბის ქ. 46, ბინა 2. 10 ს.—2 ს. და 4—6 საათამდე. 2095

ექიმი ვ. მუხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ზ. ზ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

ექიმ ა. ვ. ლევენშტეინის კაბინეტები წამლობა რენტგენის სხივებით და ელექტრონით. მიიღება ავადმყოფები შინაგან, ნერვიულ და ქალთა სნეულობით. რენტგენის სხივებით და ელექტრონით წამლობა წინასწარი ჩაწერით. სპეციალურად გულის, ფილტვების, კუჭის და ჭაჭების ავადმყოფობა. ავადმყ. მიიღ. 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქ. № 5, ბინა № 3. ტელ 12—46. ავადმყოფს თარჯიმანი უნდა ახლდეს თან. 991

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სახებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმმა დიასამიძემ განაახლა ავადმყ. მიღება ნაშუადღ. 1—2 სად. 5—6 კვირის გარდა. ოლღის ქუჩა 15 ტელ 18—03. 2010

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შემხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3 1304

ექიმი ბ. შ. მუხაძე იღებს [illegible] ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი მ. ზ. ვეზხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის $5\frac{1}{2}$ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რ. ზიზიდის ქ. № 19. 992

ექიმი ქბილიხა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ჟულუკიძე. განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ქირურგიულ ავადმყოფების მიღება: დილის 10-დან 11 საათამდე და საღამოს 5-დან—6-დე. ბორჯომის ქ. № 3, ტელ. 11—35. 2001

ექიმი ი. ძ. აბაძილია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—86. 1270

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ნ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ხ. მ. აგახაროვი: $9\frac{1}{2}$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

აგეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11\frac{1}{2}$ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. აგეტისიანი—9—11 საკუთრი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. ალექსიძის
მომსვლელ ავადმყოფთათვის
სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. ტ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეკვავა შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ხპ. გ. ჯაფარიძე—საბავშო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

საბუღალტრო კურსები.
ნ. ვ. აბრამიანისა

ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ-დღე კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმმათვის, ვისაც ჰსურს ბუხჰალტერია ქ რთულ ენაზე შეისწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს 20-დან სწავლა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" მარონის ქუჩა